ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5359678

ნომერი: AR1811997

თარიღი : 24.03.2021

გაცემის თარიღი : 08.04.2021

გაცნობის თარიღი : 08.04.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფილფანი პ/ნ 01001057174
- საქართველო, ქალაქი თბილისი, აწყურის ქუჩა, N 4ა, ბინა 39

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ბიმასი კოდი: 406322475

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენ მიერელექტრონულად ატვირთულიგანცხადება დამასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთშემდეგს:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, როდესაც ხორციელდება გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება, დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, და განაშენიანების რეგულირების წესების მესამე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება სავალდებულოა. ამავე წესების მე-3 მუხლის თანახმად, თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.
სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორია არსებული მდგომარეობით არ არის განაშენიანებული, არ არსებობს კომუნიკაციები და გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა,რომ არ მოხდეს ტერიტორიის ქაოტური სამშენებლოდ განვითარება და ერთიანი სივრცითი გადაწყვეტის დარღვევა, რაც შემდგომში იწვევს მისასვლელი გზების და ქალაქის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ მქონე მიწის ნაკვეთების ჩამოყალიბებას და მათ უსისტემო განაშენიანებას, შესაძლებელია წარმოდგენილი და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიისთვის არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს, კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დაკმაყოფილოს თქვენი24/03/2021წლის AR1811997 მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.